EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეხუთე სექცია

საქმე - "გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ"

(საჩივარი № 7088/11)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2019 წლის 21 თებერვალი

საბოლოო გახდა

21/05/2019

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

საქმეზე - "გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ",

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ანგელიკა ნუსბერგერი, *თავმჯდომარე,*
იონკო გროზევი,
ანდრე პოტოკი,
სიოფრა ო'ლირი,
მარტინშ მიტსი,
ლეტიფ ჰუსეინოვი,
ლადო ჭანტურია, *მოსამართლეები,*
და მილან ბლაშკო, სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,

2019 წლის 29 იანვრის დახურული თათბირის შემდეგ,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საქართველოს ოთხი მოქალაქის - ბ-ნი გიორგი გაბლიშვილის („პირველი მომჩივანი"), ბ-ნი რომიკ კასიანოვის („მეორე მომჩივანი"), ბ-ნ ზურაბ გაჩეჩილაძის („მესამე მომჩივანი") და ბ-ნი გიორგი მჭედლიძის („მეოთხე მომჩივანი") მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის („კონვენცია") 34-ე მუხლის შესაბამისად 2011 წლის 25 იანვარს სასამართლოში შეტანილი საჩივარი (№7088/11) საქართველოს წინააღმდეგ.

2. მომჩივნები წარმოდგენილი იყვნენ ბ-ნი ბ. ბოჭორიშვილის მიერ, ადვოკატი, რომელიც საქმიანობს თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა") წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ლ. მესხორაძე.

3. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ციხის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობას და, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ამ საკითხის ეფექტური გამოძიება.

4. 2015 წლის 12 მარტს, მთავრობას ეცნობა კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე შემოტანილი ზემოხსენებული საჩივრის შესახებ. საჩივრის დანარჩენი ნაწილი გამოცხადდა მიუღებლად სასამართლოს რეგლამენტის 54-ე წესის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივნები დაიბადნენ 1988, 1982, 1984 და 1987 წლებში. მოცემული პერიოდისთვის ოთხივე მათგანი შესაბამის სასჯელს იხდიდა რუსთავის N1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

A. ციხიდან გაქცევის მცდელობა და მომჩივანთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

6. 2009 წლის 30 მარტს, დაახლოებით 13 საათზე მომჩივნები დააკავეს ციხის უკანა ეზოში სავარაუდო გაქცევის მცდელობისთვის. მომჩივნებმა და მთავრობამ აღნიშნული დაკავების გარემოებებთან დაკავშირებით წარმოადგინეს განსხვავებული განმარტებები.

7. მომჩივნების განცხადებით, მათ საპატიმრო სივრცე დატოვეს ღია კარის საშუალებით. ისინი იმ დროს კედელზე მიმაგრებული ხარაჩოების დახმარებით აძვრნენ ორი მეტრი სიმაღლის კედელზე და გადახტნენ უკანა ეზოში. აქ მათ თავს დაესხნენ ციხის თანამშრომლები, რომლებმაც მომჩივნები სასტიკად სცემეს ხის ჯოხებით და რკინის მილებით. მეორე და მესამე მომჩივანი, კიდევ ერთ პატიმართან, რ. გ.-სთან ერთად დაიმალნენ ახლომახლო გაჩერებულ სატვირთო ავტომობილში, რათა თავი აერიდებინათ ცემისთვის, ხოლო პირველი და მეოთხე მომჩივანი დანებდა დაუყოვნებლივ. დაკავების შემდეგ მომჩივნები მოთავსებული იქნენ სადამსჯელო ტიპის საკანში, სადაც მათი ცემა გაგრძელდა.

8. მთავრობამ აღიარა, რომ მომჩივნები დაშავდნენ ინციდენტის დღეს, მაგრამ განაცხადა, რომ მომჩივნებმა ყველა დაზიანება მიიღეს ციხის კედლიდან ჩამოვარდნის შედეგად, რომელზეც მოცემული პერიოდისთვის ხორციელდებოდა სარემონტო სამუშაოები ან აუცილებელი ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად, რომელიც ციხის თანამშრომლებს დასჭირდათ მათი დაკავებისთვის. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მეორე და მესამე მომჩივანმა დაკავებისას წინააღმდეგობა გაუწია ციხის თანამშრომლებს, ხოლო პირველი და მეოთხე მომჩივანი დაუყოვნებლივ დანებდა.

B. სისხლის სამართლის სამართალწარმოება მომჩივანთა წინააღმდეგ

9. შემთხვევის დღეს, მოცემულ პერიოდში არსებულმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს („სასჯელაღსრულების სამინისტრო“) საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება მომჩივანთა მიერ გაქცევის მცდელობის საქმეზე. პასუხისმგებელმა გამომძიებელმა დაკითხა მომჩივნები, რომლებიც ყველა დაზიანებას ციხის კედლიდან ვარდნას მიაწერდნენ. იმავე დღეს, გამომძიებელმა მოიწვია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი, რომელმაც ვიზუალურად შეისწავლა მომჩივნების ყველა დაზიანება და 2009 წლის 7 აპრილს მოამზადა დასკვნა პირველ, მეორე და მესამე მომჩივანთან, ასევე ციხის თანამშრომლებთან, ხოლო 2009 წლის 16 აპრილს მეოთხე მომჩივანთან დაკავშირებით. მომჩივნები შემოწმდნენ გამომძიებლის თანდასწრებით.

10. სამედიცინო ექსპერტმა ყველა მომჩივანთან მიმართებით დაასკვნა, რომ დაზიანებები შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო გაქცევის მცდელობის დროს გამოყენებული მკვრივი, ბლაგვი საგნ(ებ)ის დარტყმით. ექსპერტმა ასევე დაასკვნა, რომ ეს დაზიანებები მსუბუქი ხარისხის იყო და ამას მესამე და მეოთხე მომჩივნის ჯანმრთელობაზე ხანგრძლივი ზეგავლენა არ მოუხდენია. ექსპერტის მიერ დასკვნაში მითითებული თითოეული მომჩივნის დაზიანების ხარისხი და ხასიათი იყო შემდეგი:

11. დადგინდა, რომ პირველ მომჩივანს აღენიშნებოდა მრავლობითი ნაჭდევები გულმკერდის, ცხვირის, შუბლის, ლოყების, მარჯვენა ყურის, მარცხენა ზედა კიდურის, მარჯვენა მხრისა და ორივე მუხლის მიდამოებში. მომჩივანს ცხვირი ჰქონდა შესიებული და მოსდიოდა სისხლი. მარცხენა ქვედა ქუთუთოზე აღენიშნებოდა დალურჯება და შეშუპება, და წვივზე აღენიშნებოდა ჭრილობა, რომლისგანაც სისხლი სუსტად სდიოდა. სასამართლო ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ შემოწმების დროს მომჩივანი უჩიოდა ტკივილს გულმკერდის არეში.

12. დადგინდა, რომ მეორე მომჩივანს აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლნაჟღენთები ბეჭის მიდამოდან ზურგამდე და მარჯვენა ლოყაზე; ნაჭდევები მარჯვენა ბეჭზე და მარჯვენა მტევნის ზურგზე; მრავლობითი ნაკაწრები კისრის მარჯვენა გვერდითა

ზედაპირზე; და ღრმა ნაკაწრი მარცხენა ბარძაყზე, რომელიც დაფარული იყო ფუფხით.

13. დადგინდა, რომ მესამე მომჩივანს მრავლობითი ნაჭდევები აღენიშნებოდა მარჯვენა წინამხარის მიდამოებში; ნაჭდევები მარცხენა ხელის მეხუთე თითის უკანა მხარეს; და მცირედ სისხლმდენი ჭრილობები თავზე, მარცხენა საფეთქლისა და ქალის მიდამოებში.

14. დადგინდა, რომ მეოთხე მომჩივანს ჰქონდა მრავლობითი სისხლნაჟღენთები გულმკერდის, მარჯვენა იდაყვის, და მარცხენა თვალის ქვემოთ; ნაჭდევები შუბლისა და მუხლის მიდამოებში; ნაკაწრი მარჯვენა ბარძაყზე; და მსუბუქად სისხლმდენი ჭრილობა თხემის მიდამოებში.

15. სასამართლოს ექსპერტის მიერ 2009 წლის 7 აპრილს (როგორც ეს მითითებულია სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 მარტს მომჩივანთა წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში) გაცემული დასკვნის თანახმად, დადგინდა, რომ ციხის თანამშრომელ ზ. ჩ.-ს აღენიშნებოდა ნაჭდევი შუბლის მიდამოებში; ვ. მ.-ს ჰქონდა სისხლნაჟღენთი სახის მიდამოში; და ო. თ.-ს მრავლობითი ნაჭდევები ფეხისა და ხელების არეში.

16. 2009 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, როდესაც მომჩივნებს ნება დართეს ჩვენება მიეცათ სასამართლოს წინაშე მათ წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ დაკავების დროს ისინი დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას. ყველა მათგანმა უარყო ჩვენება, რომელიც მათ წინა-საგამოძიებო პერიოდში მისცეს. პირველი და მეორე მომჩივანი ამასთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ გამომძიებელმა მათ მისცა წინასწარ დაბეჭდილი განცხადება და აიძულა, ხელი მოეწერათ წაკითხვის გარეშე.

17. 2009 წლის 29 დეკემბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ ყველა მომჩივანი მსჯავრდებულად ცნო ციხიდან გაქცევის მცდელობაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული). მეორე და მესამე მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი, ასევე ციხის თანამშრომლების მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულების დროს წინააღმდეგობის გაწევისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული). მათი მსჯავრდება 2010 წლის 25 მარტს ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. პირველი და მეორე ინსტანციის

სასამართლოებში მომჩივნები იმეორებდნენ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ბრალდებებს, რომლებზეც სასამართლოებს რეაგირება არ მოუხდენიათ. 2010 წლის 26 ივლისის განჩინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარყო მომჩივანთა საჩივარი, როგორც მიუღებელი.

C. მომჩივანთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიება

18. 2009 წლის 10 ნოემბერს ყველა მომჩივანმა, გარდა მეოთხე მომჩივნისა, საჩივარი შეიტანა საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2009 წლის 30 მარტის არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით და მოითხოვა საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმისწარმოების დაწყება კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. 2009 წლის 11 ნოემბერს, პროკურორმა მომჩივანთა საჩივარი გადაუგზავნა მოსამართლეს, რომელიც იხილავდა მომჩივანთა წინააღმდეგ წარმოებულ საქმეს, რადგან პროკურორმა მიიჩნია, რომ საჩივარი მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე სასამართლო პროცესისთვის.

19. 2010 წლის 1-ლ თებერვალს, მომჩივნები დაინტერესდნენ გამოძიების მიმდინარეობით და დააფიქსირეს პრეტენზია იმაზე, რომ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ბრალდებაზე არცერთი მათგანი არ დაკითხულა.

20. 2010 წლის 19 თებერვალს, მეორე და მესამე მომჩივნის მიერ მოწვეული იქნა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის პანელი, რომელმაც დაასკვნა, რომ ორ მომჩივანს აღენიშნებოდა პოსტტრამვული სტრესული აშლილობა, რაც შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო მომჩივანთა მიმართ არასათანადო მოპყრობით. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომელიც 2009 წლის 7 აპრილს მომზადდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ (იხილეთ მე-9 პარაგრაფი ზემოთ), პანელმა დამატებით დაადგინა, რომ დასკვნაში მოცემული დაზიანებები მომჩივნებს შესაძლოა მიეღოთ არასათანადო მოპყრობის შედეგად. ორმა მომჩივანმა მთავარ პროკურატურას მიაწოდა საჩივართან დაკავშირებული ექსპერტიზის დასკვნები.

21. 2010 წლის 3 მარტს, მეოთხე მომჩივანმაც შეიტანა მთავარ პროკურატურაში საჩივარი არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

22. 2010 წლის 8 ივლისს, მომჩივნებმა, საქართველოს სახალხო დამცველის დახმარებით, ამჯერად კიდევ ერთი საჩივარი შეიტანეს. 2010 წლის 30 ივლისის წერილით მათ ეცნობათ, რომ წინასწარი გამოძიება დაიწყო 2010 წლის 22 ივლისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის შესაბამისად (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით).

23. 2010 წლის 15 დეკემბერსა და 2011 წლის 13 იანვარს, ოთხივე მომჩივანმა, ადვოკატის დახმარებით კიდევ ერთხელ წერილობით მიმართა მთავარ პროკურატურას და დაინტერესდა საქმის მიმდინარეობით. 2011 წლის 13 იანვრის წერილში მომჩივნებმა პრეტენზია გამოთქვეს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მათი არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებებს ციხის თანამშრომლების მიმართ იძიებდა ზუსტად იგივე ორგანო - სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. 2011 წლის 31 მარტს მომჩივნების ეს წერილი გადაეგზავნა სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, თუმცა წერილი უპასუხოდ დარჩა.

24. 2011 წლის აპრილში, სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა მომჩივანთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშრებით ჩაატარა პირველი საგამოძიებო გამოკითხვა. მომდევნო თვეების განმავლობაში, სასჯელაღსრულების სამინისტროს გამომძიებელმა დაკითა ციხის უფროსი და ციხის ოთხი თანამშრომელი, რომლებიც მონაწილეობდნენ შემთხვევაში, მათ შორის ისინი, რომლებმაც დააკავეს მომჩივნები. ყველა მათგანმა უარყო მომჩივნების ცემის ფაქტი. ორმა მათგანმა განაცხადა, რომ მომჩივნებმა დაზიანებები მიიღეს ციხიდან გაქცევის მცდელობისას კედლიდან გადავარდნის შედეგად. ერთერთმა თანამშრომელმა (ო. გ.) განაცხადა, რომ პირველი და მეოთხე მომჩივანი წინააღმდეგობის და გართულებების გარეშე დანებდა. ციხის სამმა თანამშრომელმა, რომლებიც დაშავდნენ შემთხვევის დროს (ვ. მ., ო. თ. და ზ. ჩ.) განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა ფიზიკური ძალის გამოყენებას მეორე და მესამე მომჩივნის დაკავებისას, მაგრამ მათ უარყვეს ის ფაქტი, რომ მომჩივნებმა ამ დროს მიიღეს დაზიანებები. პირიქით, მათ მომჩივნების ყველა დაზიანება მიაწერეს კედლიდან მომჩივნების სავარაუდო ვარდნას.

25. მეორე და მესამე მომჩივნების დაკავებასთან დაკავშირებულ დეტალებზე ზ. ჩ.-მ, ვ. მ.-მ და ო. თ.-მ განაცხადეს, რომ ეს ორი, კიდევ ერთ პატიმართან, რ. გ.-სთან ერთად გაქცევას ცდილობდა სატვირთო ავტომობილით, რომელიც გაჩერებული იყო ციხის უკანა ეზოში. მცირე მანძილის გავლის შემდეგ, სატვირთო ავტომობილი გაჩერდა ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ამის შემდეგ, ციხის თანამშრომლები მიუახლოვდნენ სატვირთოს და მოსთხოვეს პატიმრებს დანებება. სამი პატიმარი შეეწინააღმდეგა დაკავებას სატვირთო ავტომობილში ყოფნისას. ო. თ.-ს განცხადებით, რ. გ. ცდილობდა სატვირთოს დაქოქვას. თანამშრომლებმა მომჩივნების დაკავება შეძლეს მხოლოდ ციხის დამატებითი პერსონალის დახმარებით.

26. გამომძიებელმა ასევე დაკითხა ოთხივე მომჩივანი, რომლებმაც დაადასტურეს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ბრალდება, რის შესახებაც მათ განაცხადეს სისხლის სამართლის საჩივრებში. კერძოდ, მათ განაცხადეს, რომ მათი დაკავებისთანავე ისინი სასტიკად სცემეს ხის ჯოხებითა და რკინის მილებით, რის შედეგადაც, პირველმა, მეორე და მეოთხე მომჩივანმა რამდენჯერმე დაკარგა გონება. მათი გონზე მოსვლის შემდეგ, ცემა გაგრძელდა. მომჩივნებმა ასევე დაასახელეს ციხის ის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ცემის ფაქტში. მათ უარყვეს, რომ მათი დაზიანებები გამოწვეული იყო კედლიდან ვარდნით. მხოლოდ მეოთხე მომჩივანმა აღნიშნა, რომ მან მსუბუქად დაიზიანა ფეხი კედლიდან გადახტომის დროს, მაგრამ განაცხადა, რომ სხვა დაზიანებები მან ცემის შედეგად მიიღო.

27. მეორე და მესამე მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ შემთხვევის დღეს გამომძიებელმა მათ მისცა წინასწარ დაწერილი განცხადებები და აიძულა, ხელი მოეწერათ ამ განცხადებაზე მისი წაკითხვის გარეშე. მეოთხე მომჩივანმა განაცხადა, რომ არასათანადო მოპყრობის შემდეგ ის შეუძლოდ გახდა და არ შეეძლო რეალობის ადეკვატურად შეფასება, და რომ მან დაკითხვის ოქმს ხელი მოაწერა წაკითხვის გარეშე. მან ასევე განაცხადა, რომ შემთხვევის მომდევნო დღეს, ის გადაყვანილი იქნა ქსნის №15 საპყრობილეში, სადაც მისვლისთანავე მას სცემა ციხის უფროსმა. შემდეგ, მას მუდმივად აშინებდნენ და აფრთხილებდნენ, არ შეეტანა საჩივარი არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. მეორე და მესამე მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ დ. ჩ., - სასჯელაღსრულების სამინისტროს ციხის სამსახურის უფროსი და სააგენტოს სხვა

მაღალი თანამდებების პირები, მომჩივნებს ჰპირდებოდნენ შეწყალებას, გაქცევის მცდელობის ფაქტზე, სანაცვლოდ კი მათგან არასათანადო მოპყრობის შესახებ დუმილის შენარჩუნებას სთხოვდნენ.

28. გამომძიებელმა ასევე დაკითხა რ. გ., რომელიც მომჩივნებთან ერთად დააკავეს გაქცევის მცდელობისას. მან არსებითად დაადასტურა მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი მოვლენები და ასევე აღნიშნა, რომ ციხის უფროსმა - დ. ს.-მ, მომჩივნების ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის დროს, მოსთხოვა დაცვას, ესროლა მათთვის, თუმცა ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა ბრძანებას.

29. სასამართლო სამედიცინო შემოწმების 2009 წლის აპრილის დასკვნა, რომელიც მოპოვებულ იქნა მომჩივანთა მიერ ციხიდან გაქცევის საქმის გამოძიებისას, დაერთო მომჩივანთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საგამოძიებო დოკუმენტებს.

30. 2011 წლის 17 სექტემბერს, მომჩივანთა მიერ გამოძიების არაეფექტურობასთან დაკავშირებით შეტანილ საჩივარზე პასუხად პროკურორმა მომჩივნებს აცნობა, რომ ისინი მხოლოდ მოვლენების თვითმხილველები იყვნენ და არ ჰქონდათ საჩივრის შეტანის საფუძველი.

31. 2012 წლის 13 მარტს, საქართველოს სახალხო დამცველმა მომჩივნების სახელით მთავარ პროკურატურას მოსთხოვა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველს ეცნობა, რომ დაკითხული იქნა რამდენიმე მოწმე და გამოძიება გრძელებოდა.

32. 2012 წლის 20 აგვისტოს, პროკურორმა დანაშაულის მტკიცებულებების არარსებობის საფუძვლით, გადაწყვიტა საქმის გამოძიების შეწყვეტა. პროკურორმა სრულად გაიზიარა ციხის თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი მოვლენათა განვითარების ვერსია და დაასკვნა, რომ მომჩივნებს დაზიანება შესაძლოა მიეღოთ გაქცევის მცდელობისას ციხის კედლიდან გადახტომის შედეგად. პროკურორმა ასევე აღნიშნა, რომ ციხის თანამშრომლები იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ ძალა მომჩივნების დასაკავებლად, თუმცა, არ გაუკეთებია დასკვნა იმის შესახებ, მიიღეს თუ არა მომჩივნებმა დაზიანებები ამ ზემოქმედების შედეგად. მომჩივნებს არ ეცნობათ გადაწყვეტილების შესახებ.

33. 2013 წლის 21 ოქტომბერს მომჩივნებმა კიდევ ერთი წერილი მიწერეს მთავარ პროკურატურას, რომელშიც დაინტერესდნენ

გამოძიების მიმდინარეობით, თუმცა, წერილზე პასუხი არ მოუღიათ. შესაბამისად, 2014 წლის 19 ივნისს, მომჩივანთა ადვოკატმა პროკურატურაში კიდევ ერთი საჩივარი გაგზავნა.

34. 2014 წლის 21 ივლისის წერილით, მომჩივნებს ეცნობათ, რომ გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებული იქნა 2012 წლის 20 აგვისტოს.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

35. შესაბამისი სამართლებრივი დებულებები, რომლებიც უკავშირდება უფლებამოსილი ორგანოების მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებების გამოძიების ვალდებულებას, რომლებიც ძალაში იყო მოცემული პერიოდისთვის, განხილულია შემდეგ გადაწყვეტილებებში: *Mikiashvili v. Georgia* (№ 18996/06, § 54, 2012 წლის 9 ოქტომბერი) და *Dvalishvili v. Georgia* (№ 19634/07, § 28, 2012 წლის 18 დეკემბერი).

III. შესაბამისი ეროვნული ანგარიშები

A. საქართველოს სახალხო დამცველი

36. 2009 წლის თავის პირველ ორწლიან ანგარიშში, სახალხო დამცველი საუბრობს ქსნის №7 (შემდგომში მიენიჭა №15) სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე:

> "პატიმრების განცხადებით, ციხის თანამშრომლები მათ უხეშად ექცევიან და პერიოდულად ამცირებენ ... ხდება ისეც, რომ ციხის ადმინისტრაცია მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიებას იწყებს, სახალხო დამცველის ციხის მონიტორინგის გუნდთან მათი პრობლემების დაფიქსირების გამო ..."

37. 2010 წლის წლიურ ანგარიშში სახალხო დამცველი რუსთავის №16 (ძველად №1) და ქსნის №15 (ძველად №7) სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან დაკავშირებით აღნიშნავს:

> "პატიმრების თქმით [ქსნის №15 ციხე] ... ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ სხვა ციხეებიდან ქსნის №15 ციხეში გადმოყვანილ პატიმრებს უბრძანებენ დაიჩოქონ და თუ ისინი უარს იტყვიან, მათ სცემენ ...
>
> ... პატიმრებმა [ასევე] განაცხადეს, რომ სახალხო დამცველთან პრობლემის დაფიქსირების მიზნით დაკავშირების სურვილის გამოთქმისას, ციხის ყველა ტელეფონი ითიშებოდა და პატიმრებს აშინებდნენ სასჯელის

> დამძიმებით. ზოგიერთს ათავსებდნენ დაკავების გაუარესებულ პირობებში და სხვებს სცემდნენ. ...
>
> ... პატიმრების განცხადებით [რუსთავის №16 ციხე], მათი ციხის შენობის ახალ ნაწილში გადაყვანა მოხდა ფიზიკური ძალის გამოყენებით. თუმცა, მათ ამ შემთხვევაზე ღიად საუბრისგან თავი შეიკავეს და მოითხოვეს მათი განცხადებების კონფიდენციალურობის დაცვა. ეს პატიმრები, რომლებსაც აღენიშნებოდათ შესამჩნევი დაზიანებები აცხადებდნენ, რომ დაზიანება მიიღეს სხვადასხვა შემთხვევების დროს, მაგალითად, ლოგინიდან გადმოვარდნის, ფეხბურთის თამაშის დროს და ასე შემდეგ.“

B. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

38. 2015 წელს, ფონდმა ღია საზოგადოება საქართველომ, საქართველოს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადამიანის უფლებათა ექსპერტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, გამოსცა ანგარიში სახელწოდებით „დანაშაული და გადამეტებული სასჯელი: საქართველოს საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები“. ეს დოკუმენტი მოიცავს 2003-დან 2012 წლამდე პერიოდს და ძირითადად ეფუძნება ასობით ინტერვიუს იმ პირებთან, რომლებმაც შესაბამის პერიოდში მოიხადეს სასჯელი. ასევე, სახალხო დამცველისა და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ მონიტორინგის ანგარიშებს. ანგარიშის შესაბამის ნაწილებში ვკითხულობთ:

> “გაეროს სხვადასხვა უწყებების, ევროპის საბჭოს, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული მონაცემების ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საქართველოში და დამკვირვებლები გამუდმებით ამახვილებდნენ მასზე ყურადღებას. ეს მოხსენება იზიარებს აზრს, რომ არასათანადო მოპყრობა და წამება გადავიდა პოლიციის წინასწარი პატიმრობის იზოლატორებიდან საპატიმროებში დაახლოებით 2007-2008 წლებში...
>
> იმ დროიდან მოყოლებული, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს ფრაგმენტული მტკიცებულებები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ არასათანადო მოპყრობა გაუარესდა საქართველოს საპატიმროებში, მიუხედავად იმისა, რომ მისი ზუსტი გავრცელების არე და ფორმები, უმეტეს შემთხვევაში, გაურკვეველი დარჩა ინფორმაციის არარსებობის გამო. 2010 წლისთვის საპატიმროები, ფაქტობრივად, დახურულ სისტემებად იქცნენ. პატიმრები არ იყვნენ განწყობილი ძალადობრივი ფაქტების განსაჯაროებლად და

> დამკვირვებლების მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოახერხა რეალურად შეესწავლა ციხეები საფუძვლიანად...
>
> პატიმრების და ყოფილი პატიმრების ჩვენებებიდან ჩანს, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა გავრცელებული იყო სასჯელაღსრულებით სისტემაში. მეტიც, პატიმრების მტკიცე რწმენა, რომ წამებას გავრცელებული სახე ჰქონდა, თავად იყო ფართოდ გავრცელებული. ...
>
> წამების მსხვერპლი თვალშისაცემი თავშეკავებით გამოირჩევა წამების შემთხვევების თაობაზე საუბრისას, როგორც გარეშე, ისე პირად ურთიერთობებში (ოჯახთან). ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ მათ არა აქვთ მდგომარეობის გამოსწორების იმედი, ეშინიათ, კიდევ არ დაისაჯონ და ეჭვი ეპარებათ დაცვით მექანიზმებში.“

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

39. მომჩივნები კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად დავობდნენ, რომ მათ მიერ ციხიდან გაქცევის წარუმატებელი მცდელობისთვის დაკავების დროს და მაშინვე დაკავების შემდეგ, 2009 წლის 30 მარტს ციხის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობას. მომჩივნებმა ასევე აღნიშნეს, რომ შესაბამისმა ეროვნულმა უწყებებმა ვერ უზრუნველყვეს საფუძვლიანი, ადეკვატური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება მომჩივანთა მიერ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე. ისინი დაეყრდნენ კონვენციის მე-3 მუხლს, რომელშიც ვკითხულობთ:

> „ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.“

A. მისაღებობა

1. მხარეთა არგუმენტები

40. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებმა ვერ შეძლეს სასამართლოში საჩივრის შეტანა კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში. მომჩივნებმა ასევე ვერ შეძლეს შესაბამისი ეროვნული ორგანოების წინაშე საკუთარი საჩივრის დროულად წარდგენა. მათ უნდა გაეცნობიერებინათ, რომ 2009 წლის 10 ნოემბრის საჩივარს ეფექტური გამოძიება ვერ

მოჰყვებოდა, რადგან პროკურორმა ცალკე გამოძიების ჩატარების ნაცვლად მათი საჩივარი მაშინვე გადაუგზავნა სასამართლოს, რომელიც განიხილავდა მომჩივანთა წინააღმდეგ მიმდინარე საქმეს, და მათ საჩივარზე პასუხი არ მიუღიათ მომდევნო თვეების განმავლობაში. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მომჩივანთა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისწარმოება არ წარმოადგენდა მათ მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ პრეტენზიების შიდასამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებას, რადგან მათი მასშტაბი შემოიფარგლა მხოლოდ მომჩივანთა მიმართ წაყენებული ბრალდებებით.

41. მომჩივნები არ დაეთანხმნენ მთავრობის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამისი ორგანოების პირველი რეაქციებიდან ნათელი იყო მათ მიერ წაყენებული ბრალდებების ეფექტური გამოძიების ჩატარების შეუძლებლობა, და რომ მათი მომდევნო საჩივრების უპასუხოდ დატოვება სისხლის სამართლის გამოძიების ნორმალური წარმოების პროცესში იყო შიდასამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უნდა ყოფილიყო ამოწურული. მათ სისხლის სამართლის საჩივარი შეიტანეს დროულად არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე ეცნობათ უფლებამოსილ ორგანოებს და მათ საკმარისი საფუძველი ჰქონდათ იმისთვის, რომ საკუთარი ინიციატივით დაეწყოთ საგამოძიებო მოქმედებები. მომჩივნებმა ასევე განაცხადეს, რომ მათ წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე წარმოადგენდა შესაბამის შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებას იმის გათვალისწინებით, რომ არასათანადო მოპყრობის პრეტენზია ძირითადად უკავშირდებოდა მათ წინააღმდეგ არსებულ ბრალდებას.

2. სასამართლოს შეფასება

42. ზოგად პრინციპებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით ექვსთვიან ვადაში საჩივრის შეტანის წესს, სასამართლო მიუთითებს მის პრეცედენტულ სამართალზე (იხილეთ, კერძოდ *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia* [დიდი პალატა], no. 39630/09, §§ 134-36, ECHR 2012; *Mocanu and Others v. Romania* [დიდი პალატა], nos. 10865/09 და 2 სხვა, §§ 258-60, ECHR 2014 (ამონარიდები); *Mafalani v. Croatia*, no. 32325/13, §§ 75-83, 2015 წლის

9 ივლისი; და *Akhvlediani and Others v. Georgia* (განჩინება), no. 22026/10, 2013 წლის 9 აპრილი).

43. წინამდებარე საქმეში, სასამართლომ გამოარკვია, რომ სამ მომჩივანს საჩივრის შესატანად დასჭირდა შვიდი თვე, ხოლო მეოთხე მომჩივანს დასჭირდა თითქმის ერთი წელი შესაბამის უწყებებში საჩივრის შესატანად. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აცხადებს, რომ მომჩივნების მიერ საჩივრის შეტანის დაგვიანება გადამწყვეტი არ არის, რადგან შესაბამის ორგანოებს უნდა სცოდნოდათ, რომ პირი შესაძლოა დქვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასათანადო მოპყრობა შესაძლოა განხორციელებულიყო სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ (იხილეთ *Mocanu and Others*, მითითებული ზემოთ, § 265; *Mafalani*, მითითებული ზემოთ, § 78; და *Şakir Kaçmaz v. Turkey*, no. 8077/08, § 70, 2015 წლის 10 ნოემბერი). მომჩივნების ციხიდან წარუმატებელი გაქცევის მცდელობის შემდეგ აშკარა იყო მინიშნება იმაზე, რომ შესაძლოა მათ წინააღმდეგ გამოყენებული ყოფილიყო ძალადობა. კერძოდ, შესაბამის უწყებებს მომჩივანთა სასამართლო სამედიცინო ექპერტიზის შედეგების საფუძველზე, რომელიც გამომძიებლის თანდასწრებით ჩატარდა (იხილეთ პარაგრაფები 9-14 ზემოთ), ყურადღება უნდა გაემახვილებინათ მსგავს შესაძლებლობაზე. ამდენად, გამოძიების ვალდებულება არსებობდა თავიდანვე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომჩივნები არ შეიტანდნენ საჩივარს (იხილეთ *Mafalani*, მითითებული ზემოთ, §§ 80-81, სხვა მინიშნებებთან ერთად).

44. ამასთანავე, სასამართლომ ადრეც აღნიშნა, რომ სახელმწიფო წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებულმა არასათანადო მოპყრობის ფსიქოლოგიურმა ზეგავლენამ შესაძლოა შეარყიოს დაზარალებულის შესაძლებლობა, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ პროცედურების დაუყოვნებლივ დასაწყებად. მსგავსი დაბრკოლება განსაკუთრებით რთული დასაძლევი ხდება მაშინ, როდესაც დაზარალებული არასათანადო მოპყრობის შემდეგ ინციდენტის შემთხვევაში მონაწილე პირების კონტროლის ქვეშ რჩება (იხილეთ *Mocanu and Others*, მითითებული ზემოთ, § 274, და *Mafalani*, მითითებული ზემოთ, § 78). ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, ასევე სახალხო დამცველისა და ადგილობრივი ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების შემაშფოთებელი დასკვნებიდან გამომდინარე, რომლებიც შეეხება იმ ციხეებს, სადაც

იმ დროისათვის მომჩივნები იყვნენ დაკავებული, კერძოდ, იმას რომ ციხის თანამშრომლები მუდმივად მიმართავდნენ ძალადობას ან სხვაგვარ უკანონო საშუალებებს, რათა აღეკვეთათ პატიმრების მიერ ძალადობის ფაქტების გახმაურება (იხილეთ პარაგრაფები 36-38 ზემოთ) და ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივნებმა პირველივე შესაძლებლობისას ღიად განაცხადეს სასამართლოს წინაშე, საჯარო სხდომაზე არასათანადო მოპყრობის შესახებ (იხილეთ მე-16 პარაგრაფი ზემოთ), სასამართლოს არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ დაასკვნას, რომ კომპეტენტურ ორგანოებში საკუთარი საჩივრის დაფიქსირების პროცესში მომჩივნები რთული დაბრკოლებების წინაშე აღმოჩნდნენ, რასაც ზოგიერთი მათგანი ნამდვილად აცხადებდა (იხილეთ მე-16 და 27-ე პარაგრაფები ზემოთ).

45. ზემოხსენებულის და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაგვიანება ძალიან ხანგრძლივი არ ყოფილა (შეადარეთ *Mafalani*, მითითებული ზემოთ, სადაც დაყოვნება სამ წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა), სასამართლო ასკვნის, რომ შეუძლებელია მომჩივნებისთვის საყვედურის გამოცხადება იმაზე, რომ მათ უფრო ადრე არ დააფიქსირეს საკუთარი საჩივრები უფლებამოსილ ეროვნულ ორგანოებში.

46. რაც შეეხება გულისხმიერების ვალდებულების მეორე ასპექტს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნები აცხადებდნენ, რომ როგორც მათი საჩივრების საფუძველზე დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება, ასევე მათ წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო საქმის წარმოება, მათი საჩივრების დაფიქსირებისთვის ადეკვატურ ფორუმს წარმოადგენდა.

47. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს თავის დასკვნებს საქმეებში *Manukian v. Georgia* ((განჩინება) no 49448/08, §§ 33-35, 2016 წლის 3 მაისი) და *Parjiani v. Georgia* ((განჩინება) no 57047/08, §§ 33-34, 2018 წლის 15 მაისი), კერძოდ, იმას, რომ მომჩივანთა წინააღმდეგ ჩატარებულმა სასამართლომ პირდაპირ ვერ შეძლო სადავო საქმის ვითარების გამოსწორება. შესაბამისად, კონვენციის მიზნებისთვის ის ვერ მიიჩნევა ეფექტურად. ამ თვალსაზრისით სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმე ზემოთ ჩამოთვლილი საქმეებისგან იმდენად არ განსხვავდება, რომ სასამართლომ სხვაგვარი დასკვნა გააკეთოს.

48. რაც შეეხება მომჩივნების საჩივრების საფუძველზე დაწყებულ სისხლის სამართლის გამოძიებას, სასამართლო პირველ რიგში

აღნიშნავს, რომ მთავრობამ ამ თვალსაზრისით გარკვეულწილად ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტები წარმოადგინა. ერთი მხრივ, მთავრობამ განაცხადა, რომ სახელმწიფო ორგანოები მომჩივანთა საჩივარზე იმდენად უღიმღამოდ რეაგირებდნენ, რომ მომჩივნებს თავიდანვე უნდა გაეცნობიერებინათ, რომ მათ ბრალდებაზე ეფექტური გამოძიება არასდროს ჩატარდებოდა. მეორე მხრივ, მთავრობამ საქმის არსებით გარემოებებთან მიმართებით განაცხადა, რომ მომჩივანთა მიერ არასათანადო მოპყრობის ბრალდებების გამოძიებით, შესაბამისმა ორგანოებმა სრულად შეასრულეს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები (იხილეთ *Kaykharova and Others v. Russia*, nos. 11554/07 და სამი სხვა, § 120, 2013 წლის 1 აგვისტო).

49. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითებს კარგად დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალზე, რომლის მიხედვითაც, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, თავისუფლებაშეზღუდული მომჩივნების ცალკეული საჩივარი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მოვლენათა ნორმალური განვითარების პირობებში, წარმოადგენს შიდასამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებას, რომლის ამოწურვაც უნდა მოხდეს (იხილეთ *El-Masri*, მითითებული ზემოთ, §§ 139-141, და *Gharibashvili v. Georgia*, no. 11830/03, § 46, 2008 წლის 29 ივლისი, სხვა მითითებებთან ერთად). იმ შემთხვევაშიც, თუ ამ საშუალების ეფექტურობასთან დაკავშირებით თავიდანვე არსებობს ეჭვები, მომჩივანმა არ უნდა მიიღოს საყვედური ამ საშუალების გამოყენების მცდელობისთვის, ვიდრე ის საჩივარს შეიტანს სასამართლოში სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით (იხილეთ *El-Masri*, მითითებული ზემოთ, § 141).

50. მომჩივნების მიერ თავდაპირველი საჩივრის შეტანისას წარდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით სასამართლომ, ასევე დაასკვნა, რომ მომჩივნები გონივრულ კონტაქტს ინარჩუნებდნენ ორგანოებთან, წარადგენდნენ ახალ და დეტალურ მტკიცებულებებს, და იღებდნენ ზომებს მათი საჩივრების სტატუსის შესახებ ინფორმაციის მისაღებად და გამოძიების პროცესის დასაჩქარებლად იმ იმედით, რომ მიიღებდნენ ეფექტურ შედეგს (იხილეთ პარაგრაფები 18-20, 22, 23, 31 და 33 ზემოთ; შეადარეთ *Huseynova v. Azerbaijan*, no. 10653/10, § 85, 2017 წლის 13

აპრილი; *Malika Yusupova and Others v. Russia*, nos. 14705/09 და 4 სხვა, §§ 164-66, 2015 წლის 15 იანვარი; და შეადარეთ *Açış v. Turkey*, no. 7050/05, §§ 41-42, 2011 წლის 1 თებერვალი). წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მომჩივნებმა ვერ შეასრულეს მათი გულისხმიერების ვალდებულება.

51. ზემოთ ხსენებული მიზეზების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნებს საჩივარი არ შეუტანიათ დაგვიანებით. შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია უნდა იქნას უარყოფილი. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მომჩივანთა საჩივარი მიუღებელი არ არის ნებისმიერი სხვა მიზეზით. შესაბამისად, საჩივარი უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

B. საქმის არსებით გარემოებები

1. მხარეთა არგუმენტები

52. მთავრობამ გაასაჩივრა მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი მოვლენათა განვითარების ვერსია და განაცხადა, რომ მომჩივანთა წინააღმდეგ 2009 წლის 30 მარტს ადგილი არ ჰქონია არანაირ არასათანადო მოპყრობას. მთავრობამ აღიარა, რომ მომჩივნებმა ამ დღეს მიიღეს დაზიანება, მაგრამ შესაბამის სისხლის სამართლის გამოძიების დასკვნებზე მითითებით, იმეორებდა, რომ მომჩივნების დაზიანებები გამოწვეული იყო ორი მეტრი სიმაღლის კედლიდან ვარდნით და/ან ციხის თანამშრომლების მხრიდან მომჩივანთა დასაკავებლად საჭირო და პროპორციული ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად. კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანთა ბრალდებები ჯეროვნად იქნა გამოძიებული ეროვნული ორგანოების მიერ.

53. მომჩივნები არ დაეთანხმნენ მთავრობას. ისინი აცხადებდნენ, რომ საქმის მასალები შეიცავდა საკმარის მტკიცებულებას, რომ მათი დაზიანებები გამოწვეული იყო ციხის თანამშრომლების მიერ და რომ მთავრობამ ვერ შეძლო ამ მტკიცების საწინააღმდეგო სანდო ალტერნატიული ახსნის მიწოდება. მომჩივნებმა ასევე განაცხადეს, რომ ორგანოების მიერ არასათანადო მოპყრობის ბრალდებებზე ჩატარებული გამოძიება არ იყო ყოვლისმომცველი, ეფექტური და დამოუკიდებელი, და შესაბამისად, მთავრობამ ვერ შეძლო

კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესრულება.

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

54. შესაბამისი ზოგადი პრინციპები სასმართლოს მიერ შეჯამებულია საქმეში *Bouyid v. Belgium* ([დიდი პალატა], no. 23380/09, §§ 81-88 და 114-23, ECHR 2015).

(b) ზემოთ ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის გარემოებებში

(i) სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით

55. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებმა მომჩივანთა სხეულის დაზიანებების წარმომავლობასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები წარმოადგინეს. ერთი მხრივ, მომჩივნების მიერ წარმოდგენილი ჩვენება ემყარებოდა სასამართლო სამედიცინო მტკიცებულებას (იხილეთ პარაგრაფები 10-14 ზემოთ), რომლის მიხედვითაც, მომჩივნებს სცემეს 2009 წლის 30 მარტს და იმავე დღეს მოგვიანებით. მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოების ვერსია, რომელიც გამყარებული იყო ციხის თანამშრომლების ჩვენებებით, რომ მომჩივნების მიერ მიღებული დაზიანებები შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო გაქცევის მცდელობისას ორი მეტრი სიმაღლის კედლიდან ვარდნით ან დაკავებისას ციხის თანამშრომლების მიერ პროპორციული ფიზიკური ძალის გამოყენებით.

56. მომჩივანთა ფიზიკური დაზიანებების ხარისხის გათვალისწინებით, სასამართლო ამ დაზიანებებს მიიჩნევს საკმარისად კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში მოსახვედრად. შესაბამისად, მთავრობას ეკისრება ტვირთი, წარმოადგინოს დაზიანებების გამომწვევი მიზეზების დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა (იხილეთ *Mikiashvili v. Georgia,* no. 18996/06, § 73, 2012 წლის 9 ოქტომბერი, სხვა მითითებებთან ერთად, და *Dvalishvili v. Georgia,* no. 19634/07, § 42, 2012 წლის 18 დეკემბერი).

57. მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მომჩივნებს შესაძლოა დაზიანებები მიეღოთ ორი მეტრი სიმაღლის კედლიდან ვარდნის შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანთა დაზიანებების ბუნების გათვალისწინებით, როგორც ეს აღწერილია

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში (იხილეთ პარაგრაფები 10-14 ზემოთ), ეს ახსნა ძალიან არადამაჯერებელია. კერძოდ, სასამართლოსთვის არ არის დამაჯერებელი ის ფაქტი, რომ ყველა მომჩივანს შეეძლო მიეღო მრავლობითი დაზიანებები სხეულის სხვადასხვა მხარეს ორი მეტრი სიმაღლის კედლიდან ერთი ნებაყოფლობითი ნახტომის შედეგად (იხილეთ მსგავს დასკვნებთან ერთად *Nadrosov v. Russia*, no. 9297/02, § 33, 2008 წლის 31 ივლისი, და *Dvalishvili*, მითითებული ზემოთ, § 42).

58. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მომჩივნებს შესაძლოა დაზიანებები მიეღოთ ციხის თანამშრომლების მიერ დაკავებისას აუცილებელი ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ვერსია შეუსაბამოა პირველ და მეოთხე მომჩივანთან მიმართებით, რადგან მათ წინააღმდეგ, მეორე და მესამე მომჩივნებისგან განსხვავებით, არ ყოფილა ბრალდებაც კი ციხის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის (იხილეთ მე-17 პარაგრაფი ზემოთ). მეტიც, ციხის თანამშრომლებმა მკაფიოდ განუცხადეს ეროვნულ გამოძიებას, რომ ეს ორი დანებდა ყოველგვარი წინააღმდეგობისა თუ გართულებების გარეშე (იხილეთ 24-ე პარაგრაფი ზემოთ).

59. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა პირველი და მეოთხე მომჩივნების მიერ მიღებულ ფიზიკურ დაზიანებებთან დაკავშირებული დამაჯერებელი ახსნა. ერთობლივად, სასამართლო სამედიცნო დასკვნასა და მომჩივანთა დაზიანებების ხასიათზე დაყრდნობით, ასევე მომჩივანთა დეტალური და თანმიმდევრული ჩვენებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ ეს დაზიანებები იყო არასათანადო მოპყრობის შედეგი, რომელსაც მომჩივნები დაექვემდებარნენ 2009 წლის 30 მარტს დაკავების დროს და/ან იმავე დღეს მოგვიანებით (იხილეთ *Mikiashvili*, მითითებული ზემოთ, §§ 76-77, სხვა მითითებებთან ერთად).

60. დასადგენი რჩება, იყო თუ არა შესაძლებელი, მეორე და მესამე მომჩივანს დაზიანებები მიეღო ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად, რომლის გამოყენებაც მკაცრად აუცილებელი იყო არსებულ გარემოებებში (იხილეთ *Bouyid*, მითითებული ზემოთ, § 88).

61. დაკავებაში მონაწილე თანამშრომლების სხეულზე სასამართლო ექსპერტის მიერ დაფიქსირებული დაზიანებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ციხის ზოგიერთმა თანამშრომლებმა

განაცხადა, რომ პირველ და მეოთხე მომჩივანს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ - სასამართლო მზად არის შესაბამისი მნიშვნელობა მიანიჭოს მათ განცხადებას და მიიჩნიოს, რომ მეორე და მესამე მომჩივანი არ დაემორჩილა თანამშრომლების მიერ გაცემულ დამორჩილების ბრძანებას. სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეს ორი მომჩივანი ბრალდებული იყო ციხის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის (იხილეთ მე-17 პარაგრაფი ზემოთ). ამ გარემოებებს აქვს დიდი მნიშვნელობა, რომელიც შესაბამისი მომჩივნების საწინააღმდეგო არის და ამ თვალსაზრისით, მთავრობაზე დაკისრებული ტვირთი დაამტკიცოს, რომ გამოყენებული ძალა გადაჭარბებული არ იყო, ნაკლებად მკაცრია (იხილეთ *Spinov v. Ukraine*, no. 34331/03, § 49, 2008 წლის 27 ნოემბერი; *Rehbock v. Slovenia*, no. 29462/95, §§ 65-78, ECHR 2000-XII; და *Barta v. Hungary*, no. 26137/04, § 71, 2007 წლის 10 აპრილი).

62. სასამართლო აცნობიერებს იმ სირთულეებს, რომელსაც სახელმწიფოები აწყდებიან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წესრიგისა და დისციპლინის შენარჩუნებისას, და იმას, რომ პატიმართა მხრიდან დაუმორჩილებლობის მარტივი შემთხვევა, შესაძლოა სწრაფად გადაიზარდოს მასობრივ არეულობაში (იხილეთ *Gömi and Others v. Turkey*, no. 35962/97, § 77, 2006 წლის 21 დეკემბერი; *Sapožkovs v. Latvia*, no. 8550/03, § 64, 2014 წლის 11 თებერვალი; და *Tali v. Estonia*, no. 66393/10, § 75, 2014 წლის 13 თებერვალი). სასამართლო აღნიშნავს, რომ დაკავებაში მონაწილე სამმა თანამშრომელმა სხვადასხვა დაზიანება მიიღო შემთხვევის დროს (იხილეთ *Dilek Aslan v. Turkey*, no. 34364/08, § 48, 2015 წლის 20 ოქტომბერი, და *a contrario, Dedovskiy and Others v. Russia*, no. 7178/03, § 82, ECHR 2008 (ამონარიდები)). მეორე მხრივ, ორი მომჩივნის მიერ მიღებული დაზიანებები, ერთობლიობაში კვალიფიცირდება მსუბუქ დაზიანებად, რომელსაც ხანგრძლივი ზეგავლენა არ მოუხდენია მათ ჯანმრთელობაზე (იხილეთ *Spinov*, მითითებული ზემოთ, § 50, და *Tüzün v. Turkey*, no. 24164/07, § 37, 2013 წლის 5 ნოემბერი; ასევე, შეადარეთ *Mikiashvili* and *Dvalishvili*, ორივე მითითებულია ზემოთ, სადაც დაჟეჟილობებთან და ნაკაწრებთან ერთად მომჩივნებს დაუდგინდათ თავის ტრავმა და ტვინის შერყევა, რამაც მათ ჯანმრთელობაზე ხანგრძლივი ზეგავლენა იქონია). ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივანთა სხეულზე დაფიქსირებული დალურჯებების ხარისხი ვერ გამორიცხავს

შესაძლებლობას, რომ დაზიანებები წარმოშობილიყო საჭირო ძალის გამოყენებით (იხილეთ *Sapožkovs*, მითითებული ზემოთ, §§ 65-66, სადაც, სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ „ბევრი“ დალურჯება მომჩივნის სხეულსა და კიდურებზე არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას, რომ ადგილი ჰქონდა გადაჭარბებული ძალის გამოყენებას). ასევე აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებიდან ჩანს, რომ გაქცევის მცდელობასთან დაკავშირებული მოვლენები სპონტანურად განვითარდა. შესაბამისად, დაკავებაში მონაწილე ციხის თანამშრომლებს შესაძლოა არ მიეცათ საშუალება, მიეღოთ ზომები თანმდევი დაზიანებების მინიმუმამდე დასაყვანად (იხილეთ *Berliński v. Poland*, nos. 27715/95 და 30209/96, § 62, 2002 წლის 20 ივნისი; და *a contrario, Kurnaz and Others v. Turkey*, no. 36672/97, § 55, 2007 წლის 24 ივლისი, სადაც წინასწარ არსებობდა მინიშნებები იმაზე, რომ პატიმრები არეულობის მოწყობას გეგმავდნენ).

63. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ მას არ შეუძლია გონივრულ ეჭვს მიღმა დაასკვნას, რომ მეორე და მესამე მომჩივანთან მიმართებით ციხის თანამშრომლების მიერ გამოყენებული ძალა გადაჭარბებული იყო (შეადარეთ *Kekelidze v. Georgia* [კომიტეტი], no. 2316/09, §§ 23-24, 2019 წლის 17 იანვარი; ასევე იხილეთ *Štitić v. Croatia* [კომიტეტი], no. 16883/15, § 64, 2018 წლის 6 სექტემბერი, სხვა მითითებებთან ერთად). სასამართლო თვალს არ ხუჭავს იმ ფაქტზე, რომ მომჩივნების განცხადებით მათი ცემა გაგრძელდა დაკავების შემდეგ კარცერში (იხილეთ მე-7 და 26-ე პარაგრაფები ზემოთ). თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მწირე სამედიცინო მტკიცებულებები ერთმანეთისგან არ განასხვავებს დაკავების დროს გამოყენებულ ძალასა და მოგვიანებით, სავარუდო არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებული დაზიანებებს. ასეთ გარემოებებში და ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლოს არ შეუძლია გონივრულ ეჭვს მიღმა დაასკვნას, რომ მომჩივნებს სცემეს კარცერში. ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, სასამართლო აცხადებს, რომ მის მიერ დასკვნის გაკეთების შეუძლებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ დაექვემდებარნენ თუ არა მომჩივნები დაკავების შემდგომ კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას, მეტწილად გამომდინარეობს იქიდან, რომ ეროვნულმა ორგანოებმა ვერ

უზრუნველყვეს მომჩივნების საჩივრის ეფექტური გამოძიება (ამასთან დაკავშირებით იხილეთ პარაგრაფები 65-70 ქვემოთ; ასევე იხილეთ *Thuo v. Cyprus*, no. 3869/07, §§ 148-149, 2017 წლის 4 აპრილი).

64. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ პირველ და მეოთხე მომჩივანთან მიმართებით ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევას. სასამართლო ასევე აცხადებს, რომ მეორე და მესამე მომჩივანთან მიმართებით ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

(ii) გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობასთან დაკავშირებით

65. კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, სასამართლო თავიდანვე აცხადებს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ნამდვილად შეისწავლეს მომჩივანთა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ბრალდებები და განახორციელეს რიგი საგამოძიებო მოქმედებები. თუმცა, სასამართლოსთვის დამაჯერებელი არ არის, რომ ეს მოქმედებები იყო საკმარისად დამოუკიდებელი, ყოვლისმომცველი და ეფექტური.

66. პირველ რიგში, ყველა საგამოძიებო მოქმედება განხორციელებული იყო სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ, იმავე სამინისტროს მიერ, რომელიც მოცემულ მომენტში პასუხისმგებელი იყო პენიტენციურ სისტემაზე. მისი გადაწყვეტილებები შემდეგ უბრალოდ დაადასტურა პროკურატურამ, ისე, რომ მას თავის მხრივ, არ ჩაუტარებია დამატებით გამოძიება, როგორც საქმის უარყოფის საფუძველი. სასამართლოს შეხედულებით, ინსტიტუციური კავშირი, გამომძიებელსა და მომჩივნების მიერ დადანაშაულებული პირების შემთხვევაში იწვევს მართლზომიერ ეჭვს ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (იხილეთ *Mikiashvili*, მითითებული ზემოთ, § 87, სხვა მითითებებთან ერთად). ის გარემოება, რომ პროკურორს არ ჰქონია მცდელობა, დამატებით შეესწავლა შემთხვევასთან დაკავშირებით გამომძიებლის მიერ განხორციელებული მოქმედებები, უფრო მეტად ძირს უთხრის გამოძიების ეფექტურობის ხარისხს (იხილეთ *Matko v. Slovenia*, no. 43393/98, § 90, 2006 წლის 2 ნოემბერი, და *Đurđević v. Croatia*, no. 52442/09, §§ 89-90, ECHR 2011 (ამონარიდები)). არც მომჩივანთა დაზიანებების სასამართლო სამედიცინო შემოწმება შეესაბამებოდა დამოუკიდებლობის სტანდარტებს, რადგან შემოწმება ჩატარდა იმ

გამომძიებლის თანდასწრებით, რომელიც მომჩივნებმა მოგვიანებით არასათანადო საქციელში ამხილეს (იხილეთ *Dvalishvili*, მითითებული ზემოთ, § 47; *Akkoç v. Turkey*, nos. 22947/93 და 22948/93, § 118, ECHR 2000-X; *Osman Karademir v. Turkey*, no. 30009/03, § 53, 2008 წლის 22 ივლისი; და *Lopata v. Russia*, no. 72250/01, § 114, 2010 წლის 13 ივლისი).

67. ამასთანავე, როგორც სასამართლომ ადრე ბევრჯერ აღნიშნა, სახელმწიფო ორგანოების მიერ არასათანადო მოპყრობის ბრალდებაზე დროული რეაგირება და გამოძიების ჩატარება, შეიძლება ზოგადად მიჩნეული იქნას, როგორც საზოგადოების მიერ კანონის უზენაესობის დაცვის აუცილებლობასთან მიმართებით ნდობის შენარჩუნებისა და შეთქმულებაში მონაწილეობის ან უკანონო მოქმედებებთან მიმართებით ტოლერანტობის გამოჩენის პრევენციის უმნიშვნელოვანესი საშუალება (იხილეთ *Bouyid*, მითითებული ზემოთ, § 133, და *Mocanu and Others*, მითითებული ზემოთ, § 323). წინამდებარე საქმეში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა დროულად უზრუნველყვეს მომჩივანთა დაზიანებების სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება, უპრობლემოც რომ ყოფილიყო, სასამართლოს არ შეუძლია თვალი დახუჭოს დროის ხანგრძლივობაზე, რომელიც საჭირო გახდა ოფიციალური გამოძიების დასაწყებად და შესაბამისი მოწმეებისგან ჩვენებების მისაღებად (იხილეთ პარაგრაფები 18-24 ზემოთ; ასევე იხილეთ *Identoba and Others v. Georgia*, no. 73235/12, § 66, 2015 წლის 12 მაისი, და *Timurtaş v. Turkey*, no. 23531/94, § 89, ECHR 2000-VI). შესაბამისად, გამოძიებამ ამ თვალსაზრისითაც ვერ დააკმაყოფილა შესაბამისი სტანდარტები.

68. ასევე, პროკურორის მიერ სისხლის სამართლის გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილებიდანაც ჩანს, რომ გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა მხოლოდ შემთხვევაში მონაწილე ციხის თანამშრომელთა ჩვენებებს. პროკურატურამ ციხის თანამშრომლების ჩვენებების სანდოობა მიიღო ყოველგვარი დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ეს ჩვენებები ყოფილიყო სუბიექტური და მიზნად დაესახა მომჩივანთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება. უნდა შემოწმებულიყო ციხის თანამშრომლების ჩვენებების სანდოობა, რადგან გამოძიებას უნდა დაედგინა, იყვნენ თუ არა ისინი პასუხისმგებელი სისხლის სამართლის დანაშაულზე

(იხილეთ *Ognyanova and Choban v. Bulgaria*, no. 46317/99, § 99, 2006 წლის 23 თებერვალი, და *Antipenkov v. Russia*, no. 33470/03, § 69, 2009 წლის 15 ოქტომბერი) ამასთანავე, დაკავებაში მონაწილე თანამშრომელთა დაკითხვა ზედაპირული იყო. მათი ჩვენებების შესწავლის შემდეგ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა მათგანის ჩვენება იყო შაბლონური იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მათგანი ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ მათ მონაწილეობა არ მიუღიათ არასათანადო მოპყრობაში და მათ მიერ მომჩივანთა მიმართ გამოყენებული ფიზიკური ძალა საჭირო იყო დაკავებისთვის (იხილეთ *Dvalishvili*, მითითებული, § 49, და *Buntov v. Russia*, no. 27026/10, § 131, 2012 წლის 5 ივნისი). ასევე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ძლიერი დამამტკიცებელი ღირებულების მატარებელია, გამოძიებას არც უცდია სამედიცინო დასკვნების მეშვეობით მტკიცებულებების გამყარება (იხილეთ *Dvalishvili*, მითითებული ზემოთ, § 48).

69. ამასთანავე, გაუგებარია, დაკითხეს თუ არა შესაბამისმა ორგანოებმა ზოგიერთი პოტენციური მოწმე. მათ შორის, მაგალითად, ციხის დაცვა, რომელსაც მომჩივნების განცხადებით, მათი დაკავების შემდეგ ციხის უფროსმა სავარაუდოდ უბრძანა, ესროლა მომჩივნებისთვის, გამომძიებელი, რომელმაც სავარაუდოდ ძალის გამოყენებით მიიღო მომჩივნების პირველი ჩვენებები, დ. ჩ., ციხის სამსახურის უფროსი, რომელმაც შემთხვევიდან მოკლე ხანში სავარაუდოდ მოინახულა მომჩივნები და დუმილის სანაცვლოდ მათ შეწყალება შესთავაზა. მთავრობას არ წარმოუდგენია მათ მიერ მიცემული ჩვენებების ასლები, როგორც საგამოძიებო მასალების ნაწილი (იხილეთ *Dvalishvili*, მითითებული ზემოთ, § 49).

70. ზემოთ ხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო აცხადებს, რომ უფლებამოსილმა ორგანოებმა ვერ შეძლეს დამოუკიდებელი, ყოვლისმომცველი და ეფექტური გამოძიების ჩატარება 2009 წლის 30 მარტის შემთხვევასთან დაკავშირებულ გარემოებებზე. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას ყველა მომჩივანთან მიმართებით.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

71. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

72. პირველმა, მეორე და მეოთხე მომჩივანმა ცალ-ცალკე მოითხოვა 17, 000 ევრო მორალური ზიანისთვის, ხოლო მესამე მომჩივანმა მოითხოვა 42, 000 ევრო და დამატებით მიუთითა მის პოსტ-ტრამვულ სტრესულ აშლილობაზე.

73. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნა აშკარად უსაფუძვლო და გადაჭარბებული იყო.

74. დადგენილი დარღვევების ხასიათისა და სამართლიან საწყისებზე გადაწყვეტილების მიღების გათვალისწინებით, სასამართლო პირველ და მეოთხე მომჩივანს, თითოეულს აკუთვნებს 6, 000 ევროს და მეორე და მესამე მომჩივანს თითოეულს აკუთვნებს 3, 000 ევროს, დამატებული ყველა ის გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაეკისროთ მათ.

B. ხარჯები

75. მომჩივნებმა მოთხოვეს 11, 650 ევრო ეროვნულ ორგანოებსა და ევროპულ სასამარლოში გაწეული ხარჯებისთვის. მოცემული თანხა დაყოფილ იქნა მათ წარმომადგენელთა მიერ საქმეზე დახარჯული საათების რაოდენობისა და საათობრივი ანაზღაურების ტარიფების მიხედვით. არ ყოფილა წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ინვოისების, ჩეკების ან სხვა დამატებითი ფინანსური დოკუმენტების ასლები.

76. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნილი თანხა არ იყო გამყარებული რაიმე მტკიცებულებით და არც საფუძვლიანი იყო. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ ზოგიერთი მომსახურება სცილდებოდა წინამდებარე საქმის ფარგლებს.

77. სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომჩივანი უფლებამოსილია ხარჯების ანაზღაურების მიღებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაჩვენებია, რომ ისინი გაწეულია რეალურად და საჭიროებისამებრ და არის გონივრული ოდენობის (იხილეთ *Buzadji v. the Republic of Moldova* [დიდი პალატა], no. 23755/07, § 130, ECHR 2016 (ამონარიდები)). წარმომადგენლის საფასური ითვლება ფაქტობრივად გაწეულ ხარჯად, თუ მომჩივანმა გაიღო ეს ხარჯები, ან ვალდებულია გაიღოს ისინი. საწინააღმდეგო შემთხვევასთან გვაქვს საქმე იმ წარმომადგენლის საფასურთან მიმართებით, რომელმაც, მისი უარყოფის გარეშე, უბრალოდ არ გადადგა ნაბიჯები რათა გადაეხადა იგი ან მოახდინა მისი გადავადება. წარმომადგენლისთვის გადახდილი საფასური, პირობითი ჰონორარის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, ფაქტობრივად გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეთანხმება აღსრულებადია შესაბამის იურისდიქციაში (იხილეთ *Merabishvili v. Georgia* [დიდი პალატა], no. 72508/13, § 371, 2017 წლის 28 ნოემბერი, სხვა მითითებებთან ერთად).

78. წინამდებარე საქმეში, მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებდა, რომ მათ გადაიხადეს ან ჰქონდათ იურიდიული ვალდებულება, გადაეხადათ მათი წარმომადგენლის მიერ დაწესებული ჰონორარი ან მის მიერ გაწეული ხარჯები, ეროვნული სასამართლოსა ან სასამართლოს სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. ასეთი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს არ შეუძლია შეაფასოს წინა პარაგრაფში აღნიშნული საკითხები. ამდენად, ის ვერ პოულობს საფუძველს, რის მიხედვითაც იგი აღიარებს, რომ მომჩივნების მიერ მოთხოვნილი ხარჯები ნამდვილად იქნა გაწეული მათ მიერ (შეადარეთ *Merabishvili*, მითითებული ზემოთ, §§ 361-72).

79. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

C. საურავი

80. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საურავის განაკვეთი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ მოტივით სასამართლო ერთხმად

1. *აცხადებს* საჩივარს მისაღებად კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად;

2. *ადგენს*, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევას პირველ და მეოთხე მომჩივანთან მიმართებით;

3. *ადგენს*, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევას მეორე და მესამე მომჩივანთან მიმართებით;

4. *ადგენს*, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევას ოთხივე მომჩივანთან მიმართებით;

5. *ადგენს*

(a) რომ, მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის ვადაში, მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, მომჩივნებს გადაუხადოს თანხა შემდეგი ოდენობით:

(i) 6, 000 ევრო (ექვსი ათასი ევრო), პირველ და მეოთხე მომჩივანს, თითოეულს, მორალური ზიანისთვის და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაეკისროთ;

(ii) 3, 000 ევრო (სამი ათასი ევრო), მეორე და მესამე მომჩივანს, თითოეულს, მორალური ზიანისთვის და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაეკისროთ;

(b) რომ, ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

6. *უარყოფს,* მომჩივნების პრეტენზიებს სამართლიანი დაკმაყოფილების დანარჩენ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს წერილობით ეცნობათ 2019 წლის 21 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მილან ბლაშკო განმწესრიგებელი მოადგილე	ანგელიკა ნუსბერგერი თავმჯდომარე

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.07.17 14:52:02 +04'00'